სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-49 3.07.20

ბრძანება

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ „ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების , საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინიტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-3 პუნქტებისა და 26-ე მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

2020 წლის 3 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ქართული და უცხოენების კათედრაზე, საგანში აკადემიური წერა.

1. განცხადების მიღება დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2020 წლის 3 აგვისტოდან 2020 წლის 13 აგვისტომდე , ყოველდღე 10:00 დან 15:00 საათამდე.
2. საბუთების განხილვა მოხდეს 2020 წლის 13 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.
3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2020 წლის 24 აგვისტოს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერძე: www. Sportuni.edu.ge.
4. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.
5. კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამაზე).

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040

კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი,სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4 ;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია.
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი)
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით) , რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5(ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალი. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში -ონლინე ვერსის.

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება /საჩივარი საკონკურსო კომისიაში. (ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება).

კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერძე (www sportuni.edu.ge).

რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია